პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N

ქ. ბათუმი _____ იანვარი, 2026 წელი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
M2 კატეგორიის მუნიციპალურ ავტობუსებში
სამგზავრო გადაყვანის ტარიფის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე M2 კატეგორიის მუნიციპალურ ავტობუსებში სამგზავრო გადაყვანის ტარიფი განისაზღვროს 0,70 ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე M2 კატეგორიის მუნიციპალური ავტობუსებით მგზავრთა უფასო გადაყვანის ცალკეული კატეგორიები:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების და ავტორიზებული კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლები და მოსწავლეები;

ბ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები;

გ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული სტუდენტები;

დ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირები;

ე) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პენსიონერები;

ვ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საბავშვო ბაღებისა და ბიბლიოთეკების თანამშრომლები; პროფესიული კოლეჯის „Black sea“ თანამშრომლები, სოციალური სააგენტოს თანამშრომლები;

ზ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე მანდატურები;

თ) სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის და მხარდაჭერის სერვისების დეპარტამენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული ცენტრის ბენეფიციარები;

ი) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;

კ) ქალაქ ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარები;

ლ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები;

მ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარები;

ნ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები.

3. მგზავრობისას ამ განკარგულების მე-2 პუნქტით მოსარგებლე პირებმა თან უნდა იქონიონ შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი მოწმობები ან/და დოკუმენტები.

4. შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტმა“, ყოველი თვის დამთავრებიდან არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას წარუდგინოს ინფორმაცია ამ განკარგულებით გათვალისწინებული კატეგორიების მიხედვით უფასო მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე ფაქტობრივად გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობის შესახებ.

5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ, შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ მიერ ამ განკარგულების შესაბამისად წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, უზრუნველყოს შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტისთვის“ უფასო მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე თითოეულ მგზავრზე მგზავრობის ტარიფის ოდენობის (0,70 ლარი) თანხების ანაზღაურება.

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაისურაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
M2 კატეგორიის მუნიციპალურ ავტობუსებში
სამგზავრო გადაყვანის ტარიფის განსაზღვრის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

M2 კატეგორიის მუნიციპალურ ავტობუსებში მგზავრობის ტარიფის განსაზღვრა 0,70 ლარით. მგზავრობის ტარიფის ცვლილება გამოწვეულია M2 კატეგორიის მუნიციპალური ავტობუსების ავტოპარკის განახლებით, მარშრუტებს შორის მანძილის გაზრდით და საწვავზე ფასების მატებით.

ბ) პროექტის ძირითადი არსი:

M2 კატეგორიის მუნიციპალურ ავტობუსებში მგზავრობის ახალი ტარიფის განსაზღვრა 0,70 ლარის ოდენობით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ხარჯებს არ საჭიროებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტი მიმდინარე ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე დადებითად აისახება, რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს ზეგავლენას არ ახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

პროექტის მომზადდა შ.პ.ს ბათუმის ავტოტრასპორტთან“ კოსულტაციით

ე) პროექტის ავტორი:

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი **რუსუდან ჟოჟაძე**